

ს.გ.ს. 10-20

White & Case LLP
 Avocats au Barreau de Paris
 Toque Générale J002
 19, Place Vendôme
 75001 Paris
 T +33 1 55 04 15 15

whitecase.com

27 December 2019

27 დეკემბერი 2019

Via Courier Service

გზავნილი საკურიერო მომსახურებით

Mr. Aleksandre Tevdoradze
 Deputy Chairman of the Roads Department of
 Georgia
 Ministry of Regional Development and
 Infrastructure of Georgia

ბ-ნ ალექსანდრე თევდორაძეს
 საქართველოს რეგიონული განვითარებისა
 და ინფრასტრუქტურის სამინისტროს
 გამგებლობაში არსებული სახელმწიფო
 საქვეუწყებო დაწესებულების -
 საქართველოს საავტომობილო გზების
 დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

12 Al. Kazbegi Avenue, 0160
 Tbilisi, Georgia

აღ. ყაზბეგის გამზ. N12, 0160
 თბილისი, საქართველო

**Roads Department of Georgia v. PSC
 PROMINVESTBANK**

**საქართველოს საავტომობილო გზების
 დეპარტამენტი PSC PROMINVESTBANK-ის
 წინააღმდეგ**

Dear Mr. Tevdoradze,

ბ-ნო ალექსანდრე,

We have set forth in this Engagement Agreement (this "**Agreement**") the terms of the engagement of White & Case LLP ("**White & Case**") to act on behalf of the Roads Department of Georgia under the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (the "**Roads Department**") in connection with the case against Public Stock Company "Joint Stock Commercial Industrial & Investment Bank" (PSC PROMINVESTBANK) (Address: 12 T. Shevchenko Lane, Kiev, 01001, Ukraine, Bank Code: 300012) arising out of the bank guarantees related to the EWHG/CW/ICB-01 contract concluded on December 12, 2013 between the Roads Department and "Road Building ALTCOM" LLC ("**ALTCOM**") for construction

ნომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულებაში („ხელშეკრულება“) ჩვენ ჩამოვყალიბეთ White & Case LLP-ის („**White & Case**“) ჩართულობის პირობები, რათა ვიმოქმედოთ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის („**გზების დეპარტამენტი**“) სახელით საავტომობილო გზების დეპარტამენტს და "Road Building ALTCOM" LLC-ს ("**ALTCOM**") შორის

of Samtredia-Grigoleti Roads Section of E-60 Highway, Lot 1, km 0+000 - km 11+500 (the "Case").

2013 წლის 12 დეკემბერს გაფორმებული EWHG/CW/ICB-01 კონტრაქტთან (E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის სამტრედია-გრიგოლეთის საგზაო მონაკვეთის (ლოტი 1, კმ 0+000 - კმ 11+500) მშენებლობა) დაკავშირებული საბანკო გარანტიებიდან გამომდინარე Public Stock Company "Joint Stock Commercial Industrial & Investment Bank"-ის (PSC PROMINVESTBANK) (მისამართი: 12 ტ. შვეჭენკოს შესახვევი, კუევი, 01001, უკრაინა, საბანკო კოდი: 300012) წინააღმდეგ საქმესთან დაკავშირებით („საქმე“).

This Agreement represents the State procurement contract under legislation of Georgia.

ეს ხელშეკრულება წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

1. Services to be Performed – Obligations of White & Case

Subject to the terms of this Agreement, the Roads Department hereby engages White & Case and White & Case hereby agrees to be engaged to provide legal services in cooperation with ASTERS LAW FIRM ATTORNEYS' PARTNERSHIP (38 Volodymyrska St., Kyiv 01030, Ukraine) ("Asters") in relation to the Case (the "Services").

1. გასაწევი მომსახურება –White & Case ის ვალდებულებები

თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით, გზების დეპარტამენტი საქმეში რთავს White & Case-ს და White & Case თანახმაა, რომ იყოს ჩართული აღნიშნულ საქმეში და გაწიოს იურიდიული მომსახურება ASTERS LAW FIRM ATTORNEYS' PARTNERSHIP-თან (38 ვოლოდიმირსკას ქ., კიევი 01030, უკრაინა) ("Asters") ერთად საქმესთან მიმართებაში („მომსახურება“).

The Services shall include: (i) studying issues/materials related to demanding the advance payment guarantee and the performance security guarantee in relation to the Case; (ii) in case of necessity, drafting letters related to demanding the advance payment guarantee and the performance security guarantee; (iii) preparing materials related to demanding the advance payment guarantee and the performance security guarantee for the purpose of conducting court proceedings in Ukraine;

მომსახურება მოიცავს: (1) შესრულების უზრუნველყოფის გარანტიასთან და საავანსო გადახდის გარანტიასთან დაკავშირებული საკითხების/მასალების შესწავლას საქმესთან მიმართებაში, (2) საჭიროების შემთხვევაში, შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის და საავანსო გადახდის გარანტიის ამოქმედების წერილების პროექტების მომზადებას,

(iv) conducting disputes in all instances of courts of Ukraine related to demanding the advance payment guarantee and the performance security guarantee; and (v) other types of legal counselling, which is derived from demanding the advance payment guarantee and the performance security guarantee.

White & Case shall prepare and carry out its assistance of the Roads Department in a professional manner and with the care and skills of a good attorney. White & Case shall promptly inform the Roads Department about developments in the Case. White & Case shall work closely with the Roads Department and agree in advance with the Roads Department on the general strategy of the defense in the Case, as well as on each important step of the Case.

White & Case shall send invoices to the Roads Department on a monthly basis for the Services. Each invoice will describe in reasonable detail the tasks performed for purposes of the engagement during the billing period. Professional fees will be listed separately from costs and expenses on each invoice.

(3) შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის და საავანსო გადახდის გარანტიის ამოქმედებასთან დაკავშირებული მასალების მომზადებას უკრაინაში სასამართლო პროცედურების წარმოების მიზნით, (4) შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის და საავანსო გადახდის გარანტიის ამოქმედებასთან დაკავშირებით უკრაინის ყველა ინსტანციის სასამართლოში დავების წარმოებას და (5) სხვა სახის იურიდიულ მომსახურებას, რომელიც უკავშირდება შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის და საავანსო გადახდის გარანტიის ამოქმედებას.

White & Case გზების დეპარტამენტისათვის უზრუნველყოფს დახმარებას პროფესიონალურ დონეზე, კეთილსინდისიერად და უმაღლესი იურიდიული კომპეტენციით. White & Case მყისიერად მიაწვდის გზების დეპარტამენტს საქმესთან დაკავშირებულ სიახლეებს. White & Case მჭიდროდ ითანამშრომლებს გზების დეპარტამენტთან და გზების დეპარტამენტთან წინასწარ შეათანხმებს საქმის დაცვის საერთო სტრატეგიას, ისევე როგორც საქმესთან დაკავშირებულ თითოეულ მნიშვნელოვან ნაბიჯს.

White & Case გაუზავნის გზების დეპარტამენტს ინვოისებს ყოველთვიურად. თითოეულ ინვოისში დეტალურად იქნება აღწერილი საანგარიშო პერიოდში ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოები. ყველა ინვოისში

White & Case shall be liable for damages caused to the Roads Department as a result of deliberate fraud or reckless disregard of White & Case's professional obligations.

The partner at White & Case who will be responsible for the overall supervision of the work undertaken for the Case will be John Willems. He will be assisted by Yutty Ramen and potentially other associates of White & Case. Charles Nairac will be involved in a role of coordination.

As the Case progresses and understanding of the issues develop, White & Case may assign other members of the Firm, consistent with the most efficient and appropriate allocation of resources. White & Case will ensure that the Roads Department is kept apprised of the team membership and structure.

In case of need to purchase services of specialists or experts working in other specialized fields, White & Case shall agree such persons and their rates (including caps) with the Roads Department and purchase their respective services with the consent of the Roads Department. In such cases invoices from such third parties shall be submitted to the Roads Department with our monthly statements, in the form of a White & Case disbursement as a third-party vendor to White & Case. With the White & Case invoice, we would also include the corresponding invoice from such persons so that the Roads Department can review the details of their activities.

სპეციალისტების ჰონორარი ხარჯებისგან გამოყოფილი იქნება ცალკე.

White & Case პასუხისმგებელი იქნება გზების დეპარტამენტის მიმართ იმ ზიანის ანაზღაურებაზე, რომელიც გამოწვეული იქნება White & Case-ის პროფესიული ვალდებულებების უგულვებელყოფის, განზრახ ჩადენილი თაღლითური ქმედების ან დაუდევრობით პროფესიული ვალდებულებების უგულვებელყოფის გამო.

White & Case-ის პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ამ საქმისთვის გაწეული სამუშაოების ზედამხედველობაზე, არის ჯონ ვილემსი. მას დახმარებას გაუწევენ იუტი რამენი და შესაძლოა White & Case-ის სხვა იურისტები. ჩარლს ნაირაკი შეასრულებს კოორდინატორის როლს.

საქმის მსვლელობისა და საკითხების თანდათანობით გარკვევის მიხედვით, White & Case-ს უფლება აქვს, გამოყოს ფირმის სხვა წევრები რესურსების მაქსიმალურად ეფექტურად და სათანადოდ განაწილების შესაბამისად. White & Case უზრუნველყოფს, რომ გზების დეპარტამენტი ინფორმირებული იყოს მისი გუნდის წევრების და სტრუქტურის შესახებ.

თუ საჭირო გახდება სხვა სპეციალიზირებულ დარგში მომუშავე სპეციალისტებისა და ექსპერტების მომსახურების შესყიდვა, White & Case გზების დეპარტამენტთან შეათანხმებს ამ პირებს და მათი ჰონარარის განაკვეთს და შეისყიდის მათ მომსახურებას გზების დეპარტამენტის თანხმობით. ასეთ შემთხვევაში მესამე მხარის ინვოისები გზების დეპარტამენტს წარედგინება ჩვენი ყოველთვიური განცხადებით, White & Case-ის მიმწოდებელი-შუამავლის ანაზღაურების

Given that the relevant bank guarantees are governed by Ukrainian law White & Case will work with Asters in relation to the Case.

We will naturally discuss with the Roads Department the identity of any other third party and agree rates of such other third parties with the Roads Department prior to their selection or retention.

In case the Roads Department will need other services related to the respective construction contract with ALTCOM that is not covered by the scope of Services under this Agreement, the Roads Department shall be entitled to conclude a new engagement agreement with White & Case for the purpose of rendering such services or respectively amend the scope of the Services under this Agreement, and in such case White & Case shall render such services to the Roads Department.

2. Term of Services

The term of the Services constitutes the period starting from January 1, 2020 up to and including December 31, 2020.

ფორმით. White & Case-ის ინვოისთან ერთად ჩვენ წარმოვადგენთ ამ პირების შესაბამის ინვოისებს, ისე რომ გზების დეპარტამენტს შეეძლება მათი საქმიანობის დეტალების ნახვა.

იმის გათვალისწინებით, რომ შესაბამისი საბანკო გარანტიები ექვემდებარება უკრაინულ კანონმდებლობას, White & Case იმუშავებს Asters-თან ერთად საქმესთან დაკავშირებით.

ჩვენ, რასაკვირველია, გზების დეპარტამენტთან ერთად განვიხილავთ ნებისმიერი სხვა მესამე მხარის ვინაობას და შევათანხმებთ ასეთი მესამე პირების ანაზღაურებას გზების დეპარტამენტთან მათ შერჩევამდე ან შენარჩუნებამდე.

თუ გზების დეპარტამენტს ALTCOM-თან გაფორმებულ სამშენებლო კონტრაქტთან დაკავშირებით დასჭირდება სხვა მომსახურება, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მომსახურებაში, მაშინ გზების დეპარტამენტს უფლება ექნება, გააფორმოს ახალი ხელშეკრულება მომსახურების გაწევის შესახებ White & Case-თან ამ მომსახურების გაწევის მიზნით ან შესაბამისად შეცვალოს წინამდებარე ხელშეკრულების მომსახურების ფარგლები და ასეთ შემთხვევაში White & Case გაუწევს გზების დეპარტამენტს აღნიშნულ მომსახურებას.

2. მომსახურების ვადა

მომსახურების ვადა მოიცავს პერიოდს 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. Fees

White & Case will charge for its services on an hourly basis. The hourly rates for each attorney depend on the experience, expertise and status of that lawyer. The 2020 hourly rates for the attorneys on this matter are:

<u>Attorney</u>	<u>Title</u>	<u>Standard Rate (USD)</u>	<u>Discounted Rate Offered to Roads Department of Georgia (USD)</u>
[REDACTED]	Partner	[REDACTED]	[REDACTED]
[REDACTED]	Partner	[REDACTED]	[REDACTED]
[REDACTED]	Associate	[REDACTED]	[REDACTED]

3. საფასური

White & Case მომსახურებისათვის ითხოვს საათობრივ ანაზღაურებას. თითოეული იურისტის საათობრივი განაკვეთი დამოკიდებულია მის გამოცდილებაზე, ცოდნასა და სტატუსზე. იურისტების 2020 წლის საათობრივი განაკვეთი შემდეგნაირად გამოიყურება:

<u>იურისტი</u>	<u>პოზიცია</u>	<u>სტანდარტული განაკვეთი (აშშ დოლარი)</u>	<u>დაკლებული ფასი გზების დეპარტამენტისთვის (აშშ დოლარი)</u>
[REDACTED]	პარტნიორი	[REDACTED]	[REDACTED]
[REDACTED]	პარტნიორი	[REDACTED]	[REDACTED]
[REDACTED]	იურისტი	[REDACTED]	[REDACTED]

In the event that additional timekeepers from White & Case may be allocated to the Case, they shall be charged in accordance with the rates set forth on Annex hereto.

In addition to the above-described fees, the Roads Department will reimburse White & Case monthly for out-of-pocket and office expenses and disbursements incurred in connection with the Services. These include but are not limited to: photocopying, courier service, computerized research, travel (including airfare, lodging, meals and ground transportation), support staff overtime and word processing. For the payment purposes in relation to such cases White & Case shall submit to the Roads Department all the documents evidencing such expenses and disbursements.

The payment of invoices of White & Case shall be made on the basis of the discounted rates offered to the Roads Department. Herewith the payment shall be made by the Roads Department on the basis of submitted invoices and acceptance-delivery acts concluded between the parties to this Agreement. For this purpose any of the persons referred to in Clause 9 (Miscellaneous) of this Agreement shall be authorized to sign such delivery-acceptance acts on behalf of the Roads Department.

იმ შემთხვევაში, თუ საქმესთან დაკავშირებით საჭირო იქნება დამატებითი დახმარება White & Case-სგან, თითოეულის ანაზღაურება გამოითვლება ხელშეკრულებაზე თანდართული დანართის წესბამისად.

გარდა ზემოთ მითითებული ფასებისა, გზების დეპარტამენტმა White & Case-ს ცოველთვიურად უნდა აუნაზღაუროს მომსახურების შესრულებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები, ოფისის ხარჯები და სხვა ხარჯები. ეს მოიცავს შემდეგს: ასლების გადაღების, საკურიერო მომსახურების, კომპიუტერიზებული კვლევების, მგზავრობის (ავიაბილეთების, საცხოვრებლის, საკვებისა და ტრანსპორტირების ხარჯების ჩათვლით), დამხმარე პერსონალის ზეგანაკვეთური შრომისა და დოკუმენტების დამუშავების ხარჯები. ასეთ შემთხვევებთან დაკავშირებული ანაზღაურების მიზნებისთვის, White & Case გზების დეპარტამენტს წარუდგენს ყველა დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს მსგავს ხარჯებს.

White & Case-ის ინვოისების ანაზღაურება უნდა მოხდეს გზების დეპარტამენტისთვის შეთავაზებული შეღავათიანი განაკვეთით. ამასთან, გზების დეპარტამენტმა ანგარიშსწორება უნდა მოახდინოს წარმოდგენილი ინვოისებისა და ხელშეკრულების მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე. ამ მიზნით, გზების დეპარტამენტის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება ხელშეკრულების მე-9 მუხლში (გარდამავალი დებულებები) ხსენებულ ნებისმიერ პირს.

The above-indicated rates and out-of-pocket and office expenses and disbursements do not include VAT (Value Added Tax) and any applicable Georgian withholding tax, to be covered by the Roads Department in accordance with national legislation.

Invoices submitted by White & Case to the Roads Department shall include detailed information on fees for services rendered by each person involved in this engagement.

As part of the arrangements for this matter, White & Case would submit the invoices from Asters to the Roads Department with our monthly statements, in the form of a White & Case disbursement as a third-party vendor to White & Case. With the White & Case invoice, we would also include the corresponding invoice from Asters so that the Roads Department can review the details of its activities. The Roads Department would not need to conclude an agreement directly with Asters. White & Case would pay Asters upon receipt from the Roads Department of the payment of the invoice with the relevant White & Case invoice.

The payment of invoices submitted to the Roads Department shall be made to the following US Dollar account of White & Case:

ზემოთ მითითებული განაკვეთები არ მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ დღგ-ს და სხვა გადასახადებს, რომელიც გადახდილი უნდა იქნას გზების დეპარტამენტის მიერ კანონმდებლობის თანახმად.

White & Case-ის მიერ გზების დეპარტამენტისთვის წარდგენილი ინვოისი უნდა მოიცავდეს დეტალურ ინფორმაციას თითოეული პირის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის ფარგლებში გაწეული მომსახურების ჰონორარის შესახებ.

როგორც მომსახურების გაწევის ნაწილი, White & Case-მა უნდა წარუდგინოს გზების დეპარტამენტს Asters-ის ინვოისები ყოველთვიური უწყისებით, White & Case-ის მიმწოდებელი-შუამავლის ანაზღაურების ფორმით. White & Case-ის ინვოისთან ერთად წარმოვადგენთ Asters-ის შესაბამის ინვოისებს ისე, რომ გზების დეპარტამენტს შეეძლებოდა მისი საქმიანობის დეტალების ნახვა. გზების დეპარტამენტს არ ექნება საჭიროება, რომ ხელშეკრულება გააფორმოს უშუალოდ Asters-თან. White & Case აუნაზღაურებს Asters-ს საზღაურს მას შემდეგ, რაც გზების დეპარტამენტისგან მიიღებს White & Case-ის შესაბამისი ინვოისის გადახდას.

გზების დეპარტამენტისთვის წარდგენილი ინვოისების გადახდა უნდა განხორციელდეს White & Case-ის აშშ დოლარის ანგარიშზე:

Bank name: Le Crédit Lyonnais

IBAN: FR78 3000 2005 7400 0000 3164
C95

SWIFT: CRLYFRPP

Address: 19 Boulevard des Italiens, 75079
Paris cedex 02

Bank account: 0000003164C

ბანკის დასახელება: Le Crédit Lyonnais

IBAN: FR78 3000 2005 7400 0000 3164
C95

SWIFT: CRLYFRPP

მისამართი : 19 Boulevard des Italiens,
75079 Paris cedex 02

ბანკის ანგარიში: 0000003164C

4. Budget

An estimated budget for the term of the Services amounts to USD 660 800 including VAT. An estimated annual budget will be presented, at the Roads Department's request, to cover the estimated costs of the Case for the following year or any other time period that the Roads Department may wish to budget for.

5. Role of the Client (the Roads Department)

The Roads Department shall cooperate with White & Case to provide all assistance necessary for the performance of the Services. Such assistance shall include fact and document gathering, advice on Georgian law, translations and other such assistance deemed necessary for the effective performance of the Services.

4. ბიუჯეტი

მომსახურების საორიენტაციო ბიუჯეტი შეადგენს 660 800 აშშ დოლარს დღგ-ის ჩათვლით. გზების დეპარტამენტის მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი იქნება საორიენტაციო წლიური ბიუჯეტი, მომდევნო წლის ხარჯების ან იმ ნებისმიერი პერიოდის საორიენტაციო ხარჯების დაფარვის მიზნით, რომლის დაფინანსებაც შეიძლება გზების დეპარტამენტმა მოისურვოს.

5. კლიენტის (გზების დეპარტამენტი) როლი

გზების დეპარტამენტმა უნდა ითანამშრომლოს White & Case-სთან და გაუწიოს ყველა სახის საჭირო დახმარება მომსახურების შესასრულებლად. ეს დახმარება მოიცავს ფაქტებისა და დოკუმენტების მოგროვებას, საქართველოს კანონმდებლობაზე კონსულტაციების / რჩევების მიცემას, თარგმანს და სხვა სახის დახმარებას, რაც საჭიროდ მიიჩნევა მომსახურების ეფექტურად განხორციელებისთვის.

6. Termination and Withdrawal

This Agreement shall be effective up to and including January 31, 2021.

This Agreement may be terminated at any time by written agreement of the Parties.

The Roads Department may terminate this Agreement at any time for whatsoever reason or without reason by fifteen days written notice sent to White & Case. In the case of such a termination, the Roads Department shall not be liable to pay any damages or other compensation, but must pay White & Case for the work done and expenses incurred at the date of termination.

White & Case shall also have the right to withdraw from representing the Roads Department in the following circumstances, upon giving reasonable notice to secure other counsel and, in any event, otherwise attempting to take reasonable steps to minimize any prejudice which the Roads Department may suffer by White & Case's withdrawal:

- a. If a position which the Roads Department wishes White & Case to assert manifestly lacks factual or legal merit in White & Case's view;
- b. If the Roads Department or any agent of the Roads Department fails to cooperate in the work necessary to protect the Roads Department's interests;

6. შეწყვეტა და უარის თქმა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადამდე ადრე ნებისმიერ დროს მხარეების წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

გზების დეპარტამენტს შეუძლია, შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ნებისმიერ დროს რაიმე მიზეზით ან მის გარეშე White & Case- ისთვის 15 დღიანი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე. მსგავსი შეწყვეტის შემთხვევაში, გზების დეპარტამენტი არ არის ვალდებული რაიმე სახის ზიანის ან კომპენსაციის ანაზღაურებაზე, მაგრამ უნდა აუნაზღაუროს White & Case-ს შეწყვეტის თარიღისთვის შესრულებული სამუშაოს ღირებულება და გაწეული ხარჯები.

White & Case -ს ასევე უფლება აქვს, უარი თქვას, წარმოადგინოს გზების დეპარტამენტი რიგ გარემოებებში, მაგრამ ამისათვის სხვა იურისტის მოსაძიებლად გონივრულ ვადაში უნდა აცნობოს ამის თაობაზე. ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ეცადოს, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს ზიანი, რომელიც შეიძლება გზების დეპარტამენტმა განიცადოს White & Case -ის უარის გამო. ასეთ გარემოებებია:

- ა) თუ პოზიცია, რომელიც გზების დეპარტამენტს სურს, რომ White & Case-მა დაიცვას, აშკარად მოკლებულია ფაქტობრივ და იურიდიულ საფუძველს;
- ბ) თუ გზების დეპარტამენტი ან გზების დეპარტამენტის რომელიმე წარმომადგენელი არ ითანამშრომლებს იმ საქმიანობაში, რომელიც აუცილებელია გზების დეპარტამენტის ინტერესების დასაცავად;

Department from time to time of developments in the law which may be of interest to the Roads Department, by newsletter or otherwise, should not be understood as a recommencement of an attorney-client relationship. White & Case undertakes no obligation to inform the Roads Department of such developments in the law unless the Roads Department has engaged White & Case in writing to do so. White & Case's consenting to be a party notified under agreements or other instruments on behalf of the Roads Department shall not alone constitute White & Case being considered as attorneys of the Roads Department notwithstanding such consent.

ურთიერთობა განახლდება, ამ და სხვა ნებისმიერი დამატებითი შეთანხმების პირობებით, რომელიც შესაძლოა, მიღწეული იქნას იმ დროისათვის. ის ფაქტი, რომ White & Case-მა შესაძლოა, დროდადრო მიაწოდოს დეპარტამენტს ინფორმაცია საინფორმაციო ბიულეტენების სახით ან სხვაგვარად მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ, რომელიც შესაძლოა, წარმოადგენდეს გზების დეპარტამენტის ინტერესის სფეროს, არ უნდა იქნას გაგებული, როგორც ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობის განახლება. White & Case არ იღებს პასუხისმგებლობას, მიაწოდოს გზების დეპარტამენტს ინფორმაცია ამგვარი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ, თუკი გზების დეპარტამენტს აღნიშნულის თაობაზე White & Case-ისთვის წერილობითი მოთხოვნა არ წაუყენებია. White & Case-ის თანხმობა იმის თაობაზე, რომ წარმოადგენდეს წეტყობინებების მიმღებ მხარეს ხელშეკრულებებსა და სხვა ინსტრუმენტების ფარგლებში გზების დეპარტამენტის სახელით, არ გულისხმობს White & Case-ის გზების დეპარტამენტის ადვოკატად მიჩნევას, ამგვარი თანხმობის მიუხედავად.

7. Representation of Other Clients

As a condition of White & Case undertaking this matter, it should be understood that White & Case may continue to represent or undertake to represent existing or new clients even if those clients' interests are directly adverse to the Roads Department's in matters substantially unrelated to this engagement regardless of their magnitude and importance. This shall include arbitration and litigation. No attorney or staff member working on this engagement under this Agreement shall be involved in such an adverse representation.

7. სხვა კლიენტების წარმოდგენა

იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ საქმეს აწარმოებს კომპანია White & Case, გასაგები უნდა იყოს, რომ White & Case-ს შეუძლია, დარჩეს არსებული კლიენტების წარმომადგენლად ან აიღოს ვალდებულება ახალი კლიენტების წინაშე, თუნდაც ამ ახალი კლიენტების ინტერესები წინააღმდეგობაში მოდიოდეს გზების დეპარტამენტის ინტერესებთან იმ საქმეებში, რომლებიც არსებითად არ უკავშირდება ამ ხელშეკრულებას მიუხედავად მათი

მნიშვნელობისა და მასშტაბებისა. აღნიშნული მოიცავს არბიტრაჟს და სასამართლო დავას. მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში მომუშავე არც ერთი ადვოკატი ან თანამშრომელი არ უნდა იყოს ჩართული ამგვარ დაპირისპირებულ წარმომადგენლობაში.

Under applicable rules of professional responsibility, White & Case is obliged to avoid revealing information acquired as a consequence of the representation of any client. Therefore, if White & Case has such information from another client, White & Case cannot disclose it to the Roads Department even if that information is relevant to the Roads Department's representation. White & Case's conduct as attorneys will be governed by the Code of Professional Responsibility in effect in the State of New York at the time of such conduct.

პროფესიული პასუხისმგებლობის მოქმედი წესების ფარგლებში, White & Case ვალდებულია, თავი აარიდოს ნებისმიერი კლიენტის წარმომადგენლობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გამჟღავნებას. აქედან გამომდინარე, თუ White & Case ფლობს ამგვარ ინფორმაციას სხვა კლიენტისგან, მას არ შეუძლია აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნება გზების დეპარტამენტისთვის იმ შემთხვევაშიც კი, თუ ასეთი ინფორმაცია კავშირში იქნება გზების დეპარტამენტის წარმომადგენლობასთან. White & Case-ის ადვოკატების ქმედებას განსაზღვრავს ამგვარი ქმედების განხორციელების დროისათვის ნიუ-იორკის შტატის მოქმედი პროფესიული პასუხისმგებლობის კოდექსი.

8. Settlement of Disputes

Any dispute arising out of or in connection with this Agreement shall be finally settled under the Rules of Arbitration of the International Chamber of Commerce. The number of arbitrators shall be three. The place of any arbitration shall be New York, New York. The English language shall be used in any arbitral proceeding and all documents shall be provided in the English language or with translations into the English language.

8. დავების გადაწყვეტა

წინამდებარე ხელშეკრულებით განპირობებული ან მასთან დაკავშირებით წარმოშობილი ნებისმიერი დავა საბოლოოდ უნდა გადაწყდეს საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო წესების შესაბამისად. არბიტრების რაოდენობა უნდა იყოს სამი. ნებისმიერი საარბიტრაჟო პროცესი უნდა განხორციელდეს ნიუ-იორკში, ნიუ-იორკის შტატში. ნებისმიერი საარბიტრაჟო წარმოება უნდა განხორციელდეს ინგლისურ ენაზე და ყველა დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურად ან ნათარგმნი ინგლისურ ენაზე.

This agreement to arbitrate constitutes a waiver of any right to sovereign immunity from execution to which Georgia / the Roads Department might otherwise be entitled with respect to the recognition and enforcement of any award rendered by an arbitral tribunal constituted pursuant to this Agreement.

The following categories of property shall be immune from enforcement proceedings:

- a. Property to the extent used or intended for use for the exercise of diplomatic rights, including Georgia's diplomatic missions, consular posts, special missions, missions to international organizations or to international conferences and including their furnishings, means of transportation and funds held in bank accounts for use in funding such missions, posts, organizations and/or conferences;
- b. Property of a military character or used or intended for use for military purposes;
- c. Property constituting or forming part of the essential cultural heritage of Georgia or part of its archives and not placed or intended to be placed on sale, including museums, archaeological sites and artifacts, libraries and related historical preservation and

ეს შეთანხმება არბიტრაჟის შესახებ ითვალისწინებს უარის თქმას სახელმწიფო იმუნიტეტთან დაკავშირებული ნებისმიერი უფლების განხორციელებაზე, რომელსაც შესაძლოა, ფლობდეს ან რომელზეც შესაძლოა, სხვაგვარად იყოს უფლებამოსილი საქართველო / გზების დეპარტამენტი ამ ხელშეკრულების თანახმად საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი ნებისმიერი გადაწყვეტილების აღიარებასთან და აღსრულებასთან მიმართებით.

სააღსრულებო წარმოება არ გავრცელდება საკუთრების მომდევნო კატეგორიებზე:

ა) დიპლომატიური უფლებამოსილების განხორციელებისთვის გამოყენებული ან შემდგომში გამოსაყენებელი საკუთრება, მათ შორის, საქართველოს დიპლომატიური მისიები, საკონსულო სამსახურები, განსაკუთრებული მისიები, მისიები საერთაშორისო ორგანიზაციებში ან საერთაშორისო კონფერენციებზე, მათი აღჭურვილობის, სატრანსპორტო საშუალებების და ამგვარი მისიების, სამსახურების, ორგანიზაციებისა და/ან კონფერენციების დაფინანსებისთვის საჭირო, საბანკო ანგარიშებზე არსებული, თანხების ჩათვლით;

ბ) სამხედრო ხასიათის საკუთრება, რომელიც გამოყენებული ან განკუთვნილია სამხედრო მიზნებისთვის;

გ) საკუთრება, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ძირითად კულტურულ მემკვიდრეობას ან მის ნაწილს ან საქართველოს არქივების შემადგენელ ნაწილს და არ არის განკუთვნილი გასაყიდად, მათ შორის, მუზეუმები, არქეოლოგიური

- research facilities, cemeteries, monuments and other similar property;
- d. Property forming part of an exhibition of objects of scientific or historical interest which is outside the territory of Georgia and not placed or intended to be placed on sale;
- e. Ships and aircraft to the extent used for governmental service;
- f. Physical assets being used to perform essential government functions, such as Parliament and governmental buildings and their furnishings;
- g. Property of the judiciary, such as court buildings and their furnishings; and
- h. Property of public health care, welfare and educational, as well as that of the police and other law enforcement systems.

9. Miscellaneous

This Agreement may be amended only by written agreement of the Parties.

All notices required or permitted to be given under this Agreement, as well as all other communications shall be sent by express registered letter, fax or email to the following addresses:

ძეგლები და არტეფაქტები, ბიბლიოთეკები და მათთან დაკავშირებული ისტორიულად დაცული და საკვლევო ობიექტები, სამარხები, მონუმენტები და სხვა მსგავსი საკუთრება;

დ) საკუთრება, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიის გარეთ არსებულ სამეცნიერო ან ისტორიული ინტერესის ობიექტების გამოფენის ნაწილს და არ არის განკუთვნილი გასაყიდად ან არ იგეგმება მისი გაყიდვა;

ე) სამთავრობო სამსახურების მიერ გამოყენებისთვის განკუთვნილი გემები და თვითმფრინავები;

ვ) ფიზიკური აქტივები, რომლებიც საჭიროა ძირითადი სამთავრობო ფუნქციების შესასრულებლად, როგორცაა პარლამენტი და სამთავრობო შენობები და მათი კეთილმოწყობა;

ზ) სასამართლო ხელისუფლების საკუთრება, როგორცაა სასამართლო შენობები და მათი კეთილმოწყობა; და

თ) საჯარო ჯანდაცვის, კეთილდღეობისა და განათლების სისტემის საკუთრება, ასევე, პოლიციის და სხვა სამართალდამცავი სისტემების საკუთრება.

9. გარდამავალი დებულებები

წინამდებარე ხელშეკრულების ცვლილება დაშვებულია მხოლოდ მხარეების წერილობითი შეთანხმებით.

წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მოთხოვნილი ან გასაცემად ნებადართული ყველა შეტყობინება, ისევე, როგორც ყველა

სხვა კომუნიკაცია, უნდა განხორციელდეს სწრაფი რეგისტრირებული წერილით, ფაქსით ან ელ. ფოსტით შემდეგ მისამართებზე:

For the Roads Department:

In case of registered letter, fax or email

[REDACTED]

Chairman of the Roads Department of Georgia
Ministry of Regional Development and
Infrastructure of Georgia

12 Al. Kazbegi Avenue, 0160
Tbilisi, Georgia

Telephone: [REDACTED]

Email: [REDACTED]

In case of registered letter, fax or email

[REDACTED]

Deputy Chairman of the Roads department
of Georgia Ministry of Regional
Development and Infrastructure of
Georgia

12 Al. Kazbegi Avenue, 0160
Tbilisi, Georgia

Telephone: +995 322 37 05 08

Email: [REDACTED]

გზების დეპარტამენტისთვის:

რეგისტრირებული წერილის, ფაქსის ან ელ.
ფოსტის შემთხვევაში

ბ-ნი [REDACTED]

საქართველოს საავტომობილო
დეპარტამენტის თავმჯდომარე
საქართველოს რეგიონული განვითარებისა
და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

12 ალ. ყაზბეგის გამზირი, 0160
თბილისი, საქართველო

ტელეფონი: +995 322 37 05 08

ელ. ფოსტა: [REDACTED]

რეგისტრირებული წერილის, ფაქსის ან ელ.
ფოსტის შემთხვევაში

ბ-ნი [REDACTED]

საქართველოს საავტომობილო
დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე
საქართველოს რეგიონული განვითარებისა
და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

12 ალ. ყაზბეგის გამზირი, 0160
თბილისი, საქართველო

ტელეფონი: +995 322 37 05 08

ელ. ფოსტა: [REDACTED]

In case of email:

Ms. Salome Tsurtsunia
Head of the Legal Service, Roads Department of Georgia
Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia

12 Al. Kazbegi Avenue, 0160
Tbilisi, Georgia

Telephone: (mob) +995 [REDACTED]
Email: [REDACTED]

In case of email:

Ms. Tamar Jorkoshvili
Head of the Contractual Provision Unit
Legal Service, Roads Department of Georgia
Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia

12 Al. Kazbegi Avenue, 0160
Tbilisi, Georgia

Telephone: (mob) +995 [REDACTED]
Email: [REDACTED]

For White & Case:

John Willems
19 Place Vendôme
75001 Paris
France

Telephone: + [REDACTED]

Email: [REDACTED]
[REDACTED]

ელ.ფოსტის შემთხვევაში:

სალომე წურჭუმია
იურიდიული სამსახურის უფროსი
საქართველოს საავტომობილო გზების
დეპარტამენტი საქართველოს რეგიონული
განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტრო

12 ალ. ყაზბეგის გამზირი, 0160
თბილისი, საქართველო

ტელეფონი: (მობ.) +995 [REDACTED]
ელ. ფოსტა: [REDACTED]

ელ. ფოსტის შემთხვევაში:

თამარ ჯორკოშვილი
სახელშეკრულებო უზრუნველყოფის
სამმართველოს უფროსი
იურიდიული სამსახური, საქართველოს
საავტომობილო გზების დეპარტამენტი
საქართველოს რეგიონული განვითარებისა
და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

12 ალ. ყაზბეგის გამზირი, 0160
თბილისი, საქართველო

ტელეფონი: (მობ.) +995 [REDACTED]
ელ.ფოსტა: [REDACTED]

White & Case-ისთვის:

ჯონ ვილემსი
19 Place Vendôme
75001 პარიზი
საფრანგეთი

ტელეფონი: [REDACTED]

ელ. ფოსტა: [REDACTED]
[REDACTED]

10. Confirmation of this Agreement

To confirm the Roads Department's agreement to the foregoing terms, please sign below in the space provided on the enclosed copy of this Agreement. White & Case assumes no responsibility for the above representation until a countersigned original copy of this Agreement has been received by White & Case.

* * *


We look forward to working with you on this matter and appreciate the opportunity to be of service.

Very truly yours,


John Willems
Partner

AGREED:
Roads Department of Georgia

By:



Mr. Aleksandre Tevdoradze
Deputy Chairman of the Roads
Department of Georgia
Ministry of Regional Development and
Infrastructure of Georgia

Date:

27.12.2019


10. ამ ხელშეკრულების დამტკიცება

ზემოხსენებული პირობების თაობაზე გზების დეპარტამენტის თანხმობის დასადასტურებლად, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ წინამდებარე ხელშეკრულების თანდართულ ასლზე მოცემულ სივრცეში. White & Case არ იღებს პასუხისმგებლობას ზემოხსენებულ წარმომადგენლობაზე მანამდე, სანამ White & Case არ მიიღებს მეორე მხარისგან წინამდებარე ხელშეკრულების ორიგინალს.


* * *

ველით თქვენთან თანამშრომლობას აღნიშნულ საქმეზე და ვაფასებთ ამ შესაძლებლობას.

პატივისცემით,


ჯონ ვილემსი
პარტნიორი

შეთანხმებულია:

საქართველოს საავტომობილო გზების
დეპარტამენტი
ხელმძღვანელი პირი: 

ბ-ნი ალექსანდრე თევდორაძე
საქართველოს
საავტომობილო გზების
დეპარტამენტის
თავმჯდომარის
მოადგილე
საქართველოს

რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

თარიღი:

27.12.2019

Annex

დანართი

Paris Office Rates (2020)

პარიზის ოფისის განაკვეთები (2020)

Attorney	Title	Standard Rate (USD)	Discounted Rate for the Roads Department (USD)
Associate Level 8	Associate	●	●
Associate Level 7	Associate	●	●
Associate Level 6	Associate	●	●
Associate Level 5	Associate	●	●
Associate Level 4	Associate	●	●
Associate Level 3	Associate	●	●
Associate Level 2	Associate	●	●
Associate Level 1	Associate	●	●
Paralegal or Legal Assistant	Legal Assistant	●	●
Trainee or Stagiaire	Law Clerk	●	●

იურისტი	პოზიცია	სტანდ. ფასი (აშშ დოლარი)	დაკლებული ფასი გზების დეპარტამენტისთვის (აშშ დოლარი)
იურისტი დონე 8	იურისტი	●	●
იურისტი დონე 7	იურისტი	●	●
იურისტი დონე 6	იურისტი	●	●
იურისტი დონე 5	იურისტი	●	●
იურისტი დონე 4	იურისტი	●	●
იურისტი დონე 3	იურისტი	●	●
იურისტი დონე 2	იურისტი	●	●
იურისტი დონე 1	იურისტი	●	●
დამხმარე იურისტი ან იურიდიული ასისტენტი	იურიდიული ასისტენტი	●	●
პრაქტიკანტი ან სტაჟიორი	ადმინისტრაციული ასისტენტი	●	●

London Office Rates (2020)

Attorney	Title	Standard Rate (USD)	Discounted Rate for the Roads Department (USD)
Associate Level 8	Associate	[REDACTED]	[REDACTED]
Associate Level 7	Associate	[REDACTED]	[REDACTED]
Associate Level 6	Associate	[REDACTED]	[REDACTED]
Associate Level 5	Associate	[REDACTED]	[REDACTED]
Associate Level 4	Associate	[REDACTED]	[REDACTED]
Associate Level 3	Associate	[REDACTED]	[REDACTED]
Associate Level 2	Associate	[REDACTED]	[REDACTED]
Associate Level 1	Associate	[REDACTED]	[REDACTED]
Paralegal or Legal Assistant	Legal Assistant	[REDACTED]	[REDACTED]
Trainee	Trainee	[REDACTED]	[REDACTED]

ლონდონის ოფისის განაკვეთები (2020)

იურისტი	პოზიცია	სტანდარტ. ფასი აშშ (დოლარი)	დაკლებული ფასი გზების დეპარტამენტისთვის (აშშ დოლარი)
იურისტი დონე 8	იურისტი	[REDACTED]	[REDACTED]
იურისტი დონე 7	იურისტი	[REDACTED]	[REDACTED]
იურისტი დონე 6	იურისტი	[REDACTED]	[REDACTED]
იურისტი დონე 5	იურისტი	[REDACTED]	[REDACTED]
იურისტი დონე 4	იურისტი	[REDACTED]	[REDACTED]
იურისტი დონე 3	იურისტი	[REDACTED]	[REDACTED]
იურისტი დონე 2	იურისტი	[REDACTED]	[REDACTED]
იურისტი დონე 1	იურისტი	[REDACTED]	[REDACTED]
დამხმარე იურისტი ან იურიდიული ასისტენტი	იურიდიული ასისტენტი	[REDACTED]	[REDACTED]
პრაქტიკანტი	პრაქტიკანტი	[REDACTED]	[REDACTED]